



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492309031

თარიღი:31/03/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №63**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მეორე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



## ა ნ გ ა რ ი შ ი

### წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტი და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2022 წელს ჩაატარა 16 სხდომა, სადაც განხილული იქნა 75 საკითხი. კერძოდ,

#### 17 იანვარი:

1. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების განხილვისა და მოწონების შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

#### 27 იანვარი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საკ. კოდი №29.07.35.068 სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

3. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა #25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებულ ფართში საკ. კოდი №29.08.34.01.508 არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #176 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული 36 ერთეული 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულებით 20 080 ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

#### **24 თებერვალი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ.

3. შპს „მაგთიკომი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, რკინის კონსტრუქციის (ანძა) ანტენის აპარატურის განთავსების მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ მხეიძის წერილის განხილვა, ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის მიმდებარე ქუჩისათვის აფხაზეთის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

#### **11 მარტი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მალლაკში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ. (ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წერილი #48-482206124; 02/03/2022).

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წერილი #48-482206353; 04/03/2022).

#### **23 მარტი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 (გ-49.49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

## 20 აპრილი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება - „მერსედეს ბენცის“ მარკის სპეციალიზებული ავტომობილის, საიდენტიფიკაციო ნომერი WDAYMC 949EL820617, სახელმწიფო ნომერი JT570JT - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

2. ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქ.№8 ბინაზე პლატონ ხევსურიანის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

## 29 აპრილი:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის მე-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

## 27 მაისი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2021 წლის მე-IV და 2022 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის #გ-49.49220844 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ქალაქ წყალტუბოში, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის მიმდებარე ქუჩისათვის აფხაზეთის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობის პირველ სართულზე (საკ.კოდი N 29.04. 38.05) განთავსებული 47.48 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 (გ-49.49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის #31 (გ-49.49220843) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ბანოჯაში მდებარე ლადიმერ ბედენაშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლი-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.09.39.542 ფართით-2098,0 კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ.

### 23 ივნისი:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ 272 (ორასსამოცდათორმეტი) ცალი ხის სანაგვე ურნის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. ქალაქ წყალტუბოში, ავალიანის ქუჩაზე მდებარე 1629 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი #29. 08. 31. 531) ავტომატური დგომისა და გაჩერების საკითხის რეგულირების მიზნით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის სახით, 5 (ხუთი) წლის ვადით, გაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, #2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი“-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 (გ-49.49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობის პირველ სართულზე (საკ.კოდი N 29.17. 35. 013) განთავსებული 18.48 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
6. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართის შემცირების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
7. შპს „სანატორიუმ წყალტუბოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.34.018) ნაწილის-3673.23 კვ.მ. ფართის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

### 28 ივლისი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.17.35.013.) პირველ სართულზე განთავსებული 18.48 კვ.მ. ფართის აუქციონის წესით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. შპს „ბალნეოსარეაბილიტაციო ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით, #29. 08. 34. 122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკ. კოდი #29. 08.34.091, ცენტრალური პარკი) ნაწილის 1216.08 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. შპს „ბალნეოსარეაბილიტაციო ცენტრი“-სათვის კულტურისა და დასასვენებელი პარკის მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით, #29. 08. 34. 064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკ. კოდი # 29. 08.34. 091, ცენტრალური პარკი) ნაწილის 1752.08 კვ.მ. ფართის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 (გ-49.49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. შპს „სანატორიუმ წყალტუბოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N29.08.31.137 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, ქუთაისი-ხონის დამაკავშირებელი გზის პირას, სოფელი გუბისწყლის მარჯვენა მხარეს, ხონის მუნიციპალიტეტის საზღვართან არსებული უსახელო ქუჩისათვის „გუბისწყლის“ ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.

## 9 აგვისტო:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.17.35.013.) პირველ სართულზე განთავსებული 18.48 კვ.მ. ფართის აუქციონის წესით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის #გ-49.492221014 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

## 25 აგვისტო:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 (გ-49.49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N 31 (გ-49.49220843) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

## 29 სექტემბერი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის #31 (გ-49.49220843) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ 56 (ორმოცდათექვსმეტი) ცალი ნაგავშემკრები კონტეინერის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

## **27 ოქტომბერი:**

1. შპს „მაგთიკომი“-სათვის ოპტიკური კაბელის განთავსების მიზნით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 138 (ასოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძის (ს/კ 29.00.338 29.00.339 29.00.143) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
4. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N 31 (გ-49.49220843) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
5. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (საკ. კოდი # 29.08.34.014 ) განთავსებული 34.8 კვ.მ. ფართის (სამი ოთახი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, თავიანთი საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონალური სამმართველოსთვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 ოქტომბრის 48-4822300102 წერილის განხილვის შესახებ /წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონებების გასხვისების შესახებ, თანხმობის მიცემის თაობაზე/.
7. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 25 ოქტომბრის N5/59435 და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 ოქტომბრის 48-4822300102 წერილების განხილვის შესახებ /წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ/.

## **21 ნოემბერი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
4. სს „სილქნეტი“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების ბოძის (ს/კ 29.00.672, მდებარე ქალაქი წყალტუბო, დედა ენის ქუჩა) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N22 (გ-49.49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა #25-ში მდებარე, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 12.8 კვ.მ. ფართის(საკ.კოდი #29.08.34.014.01.527) სარგებლობის უფლებით, იჯარით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით, გაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

### **23 დეკემბერი:**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ (მუნიციპალიტეტის მერის №48-482234173, 07/12/2022წ. წერილის განხილვა).

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ (მუნიციპალიტეტის მერის №48-482234175, 07/12/2022წ. წერილის განხილვა).

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ (მუნიციპალიტეტის მერის №48-482234176, 07/12/2022წ. წერილის განხილვა).

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის (№48-482235434, 20/12/2022) წერილის განხილვის შესახებ (ჯვარის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ხონის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში ერთჯაჭვა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი წყალტუბოს“ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე).

5. წყალტუბოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ.

6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიის სხდომებზე განხილული პროექტები მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.